მაღალ მიზანს; ცდილობენ ცხოვრებაში მოეწყონ და ამისათვის ურთივებთან ყოველგვარ გარემოებას, ოღონდ კი გარეგანი პირობები ხელს უწყობდნენ მონებრებული ცხოვრებისათვის რათა გახდნენ ადამიანებად... იმდენად სასიქადლო არ არის ფაქტების ცოდნა, რამდენადაც ის, რომ ახალგაზრდებს ქონდეთ მართალი სჯა ცხოვრებაზედ. უკეთესია მათთვის იცოდნენ ცოტა, მაგრამ მათი თავები კი არ იყვენ სიცრუით საესენი, რომელიც განდევნის და ალაგს უკარგავს ქეშპირტ და ცხოველ სჯას. სამართლიანი სჯა ცხოვრებაზედ მიიღწევის ნელის გზით, როდესაც სხვა-და-სხვა ცრუ რწმენანი ჩქარა ეთვისებანი ყმაწვილებს, რომელიც მათ თავებში არეულ-დარეულად ეწყობა; დიდად საჭიროა მათი ხსნა ამისთანა ცრუ-მარწმუნოებიდან. ყმაწვილებმა თავიანთი ქულა-გონება უნდა დაამყარონ მათ გარემო მყოფ ბუნების შესწავლას; სანამ ისინი ბავშვები არიან თავის თავს სწავლობენ საგნებთან შედარებით, ე. ი. ფიზიკურად როცა ისინი მიხვდებიან თავიანთ ზნეობრივად ყოფნას, მაშინ სწავლობენ თავის თავს ადამიანებთან შედარებით, რომელშიაც არის მთელი მათი ცხოვრების მიზანი. როდესაც მე უყურებ მეცნიერებით გატაცებულ ახალგაზრდებს, რომლებიც უპრაქტიკოდ შედიან ცხოვრებაში, ან სხვა რა საქმეს კიდებენ ხელს, მე ყოველთვის ვეშმობ მათთვის და დიდათაც არ მივირის ის, რომ ბევრია ისეთი ყმაწვილები, რომელთაც უჭირსთ ცხოვრება და ილუპებთან მისთან ბრძოლაში“.

კიდევ მწერენ იმაზედ, რომ ჩვენი ყმაწვილები „საკმაოდ მხნენი არ არიან, არამედ გასათუთებულნი და ზარმანიცა. ყმაწვილი, მოკლებული კეთილშობილურ პატრუ-მოყვარეობასა, ღირსი არ არის კაცად იწოდებოდეს. ღმერთს ჩვენ იმისათვის კი არ გაუჩენივართ, რომ დედამიწაზედ ვიხიხიოთ, არამედ მივიდოდეთ წინმსვლგლობის გზაზედ. თვითოველი ჩვენთავანი ვალდებულით თავის სიცოცხლე შესწიროს მაღალ აზრების მიღწევას და ყოველის ძალით ცდილობდეს მის განხორციელებას. ესლანდელ საზოგადოებაში ადგილი არ აქვთ უფერგვია ადამიანებს; საზოგადოებას არ სჭირია უსარგებლო კაცი. ისინი უსათუოდ უნდა ჩიაკარგონ ცხოვრების მორევში და ყოველთვის იქნებიან უკანა რიგში, სანამ



ულდესი ტალღა ცხოვრებისა მისი სპორტისაკენ. არაფერ არ უნდა იწუხებდეს თავის თავს იმ იმედით, რომ მისი მეგობარნი, ან კეთილ-ყოფილნი მის კეთილ-წარმატებაზედ ცხოვრებაში, თუ ის თვითონ არ იზრამებს მისგან დანიშნულ მიზნის მისაღწევად. ჩვენ ეს ცხოვრობთ იმ დროში, როდესაც ადვილად არაფერი არ იშოვება. ჩვენ გვჭირია იმისთანა ადამიანები, რომლებიც არიან გამსჭვალულნი პატიოსან სურვილებით, შეუძლებელია ენერჯით და მაღალის იმედებით, რომლის განხორციელებას ისინი ადრე თუ გვიან მოვლიან. ის კაცი, რომელსაც თავისი სიყრმე უსაქონლად გაუტარებია, არასოდეს არ უნდა ოცნებობდეს იმაზედ, რომ ის შეიქმნეს რაიმე ბედნიერი შემთხვევის გამო, — გამოჩენილ საზოგადო მოღვაწე პირად. მხოლოდ ფიქრებით შეუძლებელია მიღწევა სასურველ მიზანს. ამასთანავე არ არის უყურადღებოდ დასატოვებელი, რომ ჩვენი დროის ეპოქა ისეთია, როდესაც ჩვენი სახელის გაუქვდავება ზნე მაღალ ადამიანთა შორის ძნელი არ არის. თუნდაც ვსთქვათ, რომ ისინი, რომელნიც ამტკიცებენ, რომ რაინდული დრო წავიდა და აწი ვერ დავიბრუნებთო, მაინც ცხოვრებაში ცოტაა ისეთი საქმეები, რომლებსაც ყმაწვილებს შეუძლიანთ ხელი მოკიდონ? გავიხსენოთ დარიგება მარკ-ავრელიის: „ყველა ჩვენთაგანს კი არ შეუძლია იქნეს პოეტად, მგოსნად, შესანიშნავ მეცნიერად, მაგრამ ქვეყანაზედ სხვა საქმეებიც ბევრია, რომელთა შესასრულებლად შენ ნება არა გაქვს სთქვა, რომ ბუნებას ჩემთვის არ მოუცია მაგის შესასრულებელი ნიქო. ეცადე გამოიჩინო ის თვისებები, რომელნიც შენს მფლობელობაშია: სიმართლე, მოთმინება, მოწყობა, ზომიერება და სულგრძელება. შენ ხედავ, რომ ამდენს შესრულებო შეგადიანა ისე, რომ ბუნებას არ უსაყვედურო შენს უნიკობაზედ; ხედავ ყველაფერს, მარა საქმეს არ კიდებ ხელს“.

ბევრი ყმაწვილ ქალები იხსენიებენ, რომ თანამედროვე ყმაწვილები ზნეობრივად მშობარანი არიანო: „იმით ემინიან წარმოსთქვან თავიანთი რწმენანი, იმისათვის კი არა, რომ ისინი უსაფუძვლონია, არამედ ემინიან აშხანაგების დეკონისა... ბევრი ყმაწვილი კაცები ვარდებიან სხვა-და-სხვა განსაკდელში, რომელთაც ისინი, სულაც არ თანაუგრძნობენ, მხოლოდ იმისათვის, რომ არა აქვთ საჭირო

გამბედაობა ეწინააღმდეგონ საზოგადოების ჩვეულებებს. ამ მიზნით ბევრი ყმაწვილებთაგანი ცხვენიან ღვინის სმას და ბოლოს ხდებათ ვარყენილ და ზნე დაცემულ ლოთებად. ნების სისუსტის გამო ისინი ითმენენ დამარცხებას ცხოვრებასთან ბრძოლაში. უმეტეს ნაწილად უხასიათო ადამიანები ხდებიან ყოველი სისაძაგლის მონებად. ჩვენს დროში უკვე ცნობილი მოვლენაა, რომ ყმაწვილი კაცები, მშვენიერი ნიქის პატრონი სცდებიან ქეშმარიტების გზას და ილუპებიან ცხოვრების მორცეში. ისინი ვარწმუნებენ, რომ ვითომ რესტორანებს, სათამაშო და სხვა სახლებს მუშაობის შემდეგ დროს გასატარებლად ნახულობენ — ამბობენ, რომ ცოტა ვითამაშება, დროს გატარება გვიანდა და მერე უფრო სერიოზულად მოვიკიდებთ საქმეს ხელსაო. საწყალი ყმაწვილები როგორ ცდებიან და რა მწარე შენანება მოუხდებთ შემდეგ თავიანთ საქციელისათვის, მაგრამ მაშინ უკვე გვიან იქნება და წარსულს ვერ დაიბრუნებენ!“

გ. მალაქიაშვილი.

(გაგრძელება აქნება).

შურნალ-გაზეთმპრიდან.

ამა წლის ივლისის 30 დღის „ნოვოე ობოზრენიე“ რუსულ გაზეთს ო. მ.—ლი რედაქციასა სწერს წიგნს, რომლითაც აღუწყებს, რომ საქართველოს ძველ ძველთა შორის დიდი ყურადღების ღირსია სიონის ტაძარი სოფ. ატენში, როგორც სიმშვენიერით, ისე შენობის სიდიდითო. ეს ძველი სიონი მინდ, რომელსაც ოდესღაც დიდი ძალა ჰქონდა მორწმუნეთა შორის, ესლა სამძიმო შთაბეჭდილებას სტოვებს ყოველ მნახველზედ. გარედან ტაძარი მთლად შენახულა, მაგრამ შიგნით ისეთი ზინტლი და სიმყარლია, რომ შეუძლებელია ეკლესიაში შესვლა და დათვალიერება, როგორცა სწანს ზამთრობით ნახირს ერეკებიან შიგ და ტაძრის კედლებში ლამურები ბუდობენ. უთუოდ ადგილობრივ მღვდლებს, რომელნიც მოვალე არიან სიწმინდეს



პატივი სცენ, ყურადღება არ მიუქცევიათ ტაძრისათვისო“...

აი რა ყოფაშია დღეს საქართველოს საისტორიო-საქრისტიანო დიდების ნაშთები და, სულიერ მამებს რომ ჰკითხოთ მიზეზი, ერის ურწმუნოებას იტყვიან და ყოველ ბრალს მის მოახვევენ თავსა. ჩვენ კი გვგონია, რომ ჩვენის ერის ურწმუნოება აქ არაფერ შუაშია და ის კი მართალია, რომ მის მღვდლებს სარწმუნოება ნაკლებად უნდა ჰქონდეთ, თორემ ხომ შეგნებული ექნებოდათ მოვალეობა მისი, რომ ატენის სიონისათა სიწმინდენი უპირველეს ყოვლისა მათგან მოითხოვენ პატივისცემას. დაეჯეროთ, ატენის სიონის რაიონში კეთილმოწყვე დეკანოზი არ იპოვება, და თუ არის, ნუ თუ არ შეგძლო აღგიღობრივ ხელქვეით მღვდლებისათვის მიეწერა დაცვა და მოვლა ვაკიებულის ტაძრებისა? დიად, დღევანდელი ქართველი მღვდელი აღარ არის ძველებზე სულიერი მამა და მწყემსი ერის სარწმუნოებისა და ტაძრებისა და ყოველივე ზრუნვა დაუღვია მხოლოდ ამოვებისა და საწუთრო ცხოვრებისათვის. ნეტა როდის ვეღირსებით საქართველოსა და ქართველთაში გულშემატკივარ ქეშმარიტად მორწმუნე მოძღვრებსა და მწყემსთ, რომ ერის ზნეობრივ და მოქალაქობრივ აღორძინებისათვისაც ზრუნავდნენ*).

* * *

უმაღლესის ნებართვით, ამ წლის 20 აპრილს საერო განათლების სამინისტროსთან დაარსდა განსაკუთრებული კომისია, რომლის წევრებად იყვნენ 11 სამოსწავლო ოლქიდან თითო დირექტორი კლასიკურის გიმნაზიისა და რეალურ სასწავლებლისა. კომისიის უნდა შემეშუავებინა მომავალ წლისათვის სამოსწავლო პროგრამა საშუალო სკოლების უმცროს კლასებისათვის. კომისიის მიერ შედგენილი პროექტი განსახილველად წარედგინა სამეცნიერო კომიტეტს და შემდეგ მინისტრის საბჭოს, ხოლო 20 ივლისს ხელმოწივე იმპერატორს, რომელმაც კეთილ იხება და ბრძანა:

I. დამტკიცდეს 1902—1903 სამოსწავლო წლისათვის რეალურ სასწავლებლის 4 უმცროს კლასებისათვის სამოსწავლო გეგმა, სამეცნიერო კომიტე-

ტისა და საერო განათლების მინისტრის საბჭოსაგან მოწონებული.

II. დამტკიცდეს იმათგანვე მოწონებული გეგმა კლასიკურ გიმნაზიის სამ უმცროს კლასისათვის.

III. დამტკიცდეს მომავალ სამოსწავლო წლისათვის პეტერბურგის მესამე, მოსკოვის მეხუთე, ვარშავის მეოთხე, კიევის მეორე და იურიევის გიმნაზიების მეოთხე კლასისათვის გაკვეთილების ის გეგმა (ბერძნულის ენით), რომელიც შეიმუშავა დირექტორების კომისიამ.

IV. დამტკიცდეს დანარჩენ გიმნაზიების მე-4 კლასისათვის გაკვეთილების გეგმა (უბერძნულოდ), რომელიც შეიმუშავა დირექტორების კომისიამ.

V. ამ წესს ძალა ექნეს შემდეგ სამოსწავლო წლებშიაც, სანამ დამტკიცდება გიმნაზიებისა და რეალურ სასწავლებელთა ახალი პროგრამა.

ამ ბრძანების თანახმად, მომავალ სამოსწავლო წელს გიმნაზიებისა და რეალურ სასწავლებლების უმცროს კლასებში გაკვეთილების გეგმა უნდა შემუშავდეს ამ ცხრილების თანახმად:

ცხრილი 1 (გიმნაზიებისათვის).

	I კლ.	II კლ.	III კლ.	უბერძნულოდ.	უბერძნულოდ.
საღმრთო რჯული	2	2	2	2	2
რუსული ენა	5	5	4	4	4
ლათინური ენა	—	—	5	5	4
ბერძნული ენა	—	—	—	—	4
მათემატიკა	4	4	4	4	4
ისტორია	2	2	2	3	3
გეოგრაფია	2	2	2	2	2
გერმანული ენა	5	6/3	3	3	(4) 2
ფრანგული ენა	—	3/6	3	4	(3) 2
ბუნების მეტყველ.	2	2	—	—	—
სუფთა წერა	2	—	—	—	—
ხატვა-ხაზვა	2	2	1	—	—
სულ	26	28	28	27	27

ცხრილი 2 (რეალურ სასწავლო.)

	I კლ.	II კლ.	III კლ.	IV კლ.
საღმრთო რჯული	2	2	2	2
რუსული ენა	5	5	4	4
მათემატიკა	4	4	4	6
ისტორია	2	2	2	2
გეოგრაფია	2	2	2	2

* რა უნდა ჰქნას მღვდელმა ამ შემთხვევაში? რა საშუალება აქვს მას ამ ძველი ტაძრების დასაკვლად? სწორედ ახირებული სურვილია! თუ სასრცხობა ეს მღვდელთათვის, უმეტესად მრევლთათვისა...

რედ.

გერმანული ენა .	5	$\frac{6}{3}$	5	4
ფრანგული ენა .	—	$\frac{3}{6}$	5	4
ბუნებ. მეტყველ. .	2	2	2	2
ხაზვა-ხატვა .	2	2	2	2
სუფთა წერა	2	—	—	—
ხაზვა .	—	—	2	2
სულ .	26	28	30	30

* *

შინაზნეს ქეკლი. ქალაქ გრენობლის საბჭომ (საფრანგეთში) გადასდო დიდი ფული ეხლახან «გარდაცვალებულის» შინაზნეს (დიდი მიმუნე) პატივის საცემლად ბრინჯაოს ანდიანტის დასადგმელად. «კარლოს დიდი» (ასე ეძახდნენ მაიმუნს) ერთმა მოგზაურმა მოიყვანა აფრიკიდან. ერთხელ ქაში ბავშვი ჩავარდა, მაიმუნმა არაფის არ დააცალა, ჩახტა ქაში და ბავშვი ამოიყვანა. მის შემდეგ ის ყველას საყვარელი შეიქმნა. მაიმუნს ნებს აძლევდნენ, ყველას სახლში შესულიყო და ხილი და მწვანილი მიერთმია. «კარლოს დიდი» გლეხის ტანისამოს იცვამდა, მხოლოდ ოთხი ფეხით სიარული უფრო ეხერხებოდა, თუმცა ორ ფეხზე ადამიანივით დადიოდა. უფრო ხშირად შინაზნეს რესტორანებში ნახავდით, სადაც ის ქალადის სათამაშო სტოლს მიუჯდებოდა ხოლმე, ან კიდევ ნახავდით წყლის პირას, სადაც ის სიამოვნებით თვალს ადევნებდა თევზის ქერას. ხშირად დათვალავებდა ხოლმე შინაზნე ბავშვების საავადმყოფოს, სადაც ის ძალიან უყვარდათ; თითონაც დიდის სიყვარულით ეალერსებოდა ხოლმე ბავშვებს. როდესაც მამუნე მოკვდა, დიდის ამბით დასაფლავებს მცხოვრებლებმა.

* *

ინგლისის მეფის გვარგუიის კურთხევა. 27 ივლისს, 11 საათზე მეფე და დედოფალი, რომელთაც ხალხი აღტაცებით ეგებებოდა, ბუკინჰემის სასახლიდან ვესტმინსტერის ეკლესიაში გაემგზავრნენ გვირგვინის საკურთხავად.

დილის მეთერთმეტე საათზე ინგლისის სამეფო სახლის წევრები და იმათი ნათესავი უცხოელი პრინციები და პრინციესები ბუკინჰემის სასახლიდან რვა ეტლით წაიბდნენ გვირგვინის კურთხევაზე. უელსის პრინცს და პრინციესას ხალხი აღტაცებით ეგებებოდა.

გვირგვინის კურთხევა მოხდა 12 საათზე და 40 წუთზე. წესის შესრულების დროს კითხვებზე მეფე მალდის ხმით უპასუხებდა, ასე რომ მთელს

ტაძარში ისმოდა როდესაც გვირგვინის კურთხევა გათავდა, ყველანი ფეხზე წამოდგნენ და შესძახეს «ღმერთი იფარავდეს მეფესა და დედოფალს». საეკლესიო დღეის-მსახურება პირველ საათზე დასრულდა.

კენტრბერიის არქივისკოპოსს, რომელსაც მეტო აღელვებისაგან ხმა უკანკალებდა, ეტყობოდა გული მისდიოდა როდესაც მეფეს გვირგვინი დადგა თავზე, ის იძულებული შეიქმნა იორკის არქივისკოპოსის და ორი სხვა ეპისკოპოსის შემწევობით გასულიყო გულის მოსაბრუნებლად. როდესაც გული დაიმშვიდა, ცერემონიის გათვებაც შესძლო.

დილის 10 საათზე ვესმინსტერის ტაძარი გასაკურთხელად იყო მოწყობილი. 11 საათზე ტახტთან ადგილები დაიჭირეს წარჩინებულთ; ჰერცოგს დევონშირისას ეჭირა გვირგვინი, მარკის ლონდონდორის—მახვილი; დედოფალი დაბჭადანა თავის ტახტზე და მიესალმნენ «vivat regina Alexandra»-ს ძახილით. მუსიკის დაკვრამ მეფის მობრძანება აუწყა; ყველა დამსწრენი მიეგებნენ «vivat rex Eduardus» ძახილით. მეფეს წამოსხმული ჰქონდა სამეფო მოსახსამი; მივიდა ტახტის წინ მომზადებულ ალაგს, თავი დაუკრა დედოფალს და დაიჩოქა სალოცავად ილოცა და ეზიარა. მიღღელ-მსახურების დროს მეფე პასუს აძლევდა მკათეთი და ხმა მაღლა და ხელი მოაწერა ფიცის ქაღალდს.

წმიდა საიდუმლოს მიღების დროს მეფემ მუხლი მიადრკია; მირან-ცხებულმა და სახელმწიფო მახვილით აღტურვილმა მიიღო სამეფო უფლებათა შინაწილი. მეფემ მშვენებრად აიტანა გვირგვინის კურთხევის წესი, დალალოლბოდა სრულიად არ ეტყობოდა და თავს მშვენებრად ჰგონობდა.

მეფე და დედოფალი 2 საათზე განშორდნენ ტაძარს; აუარებელი ხალხი აღტაცებით ეგებებოდა მათ.

დილიდანვე განუსაზღვრელი მზიარულება გამეფდა. ყოველის მხრიდან ისმოდა ზარების რეკა. ქუჩებზე ბევრად მეტმა ბრბომ შეიყარა თავი, ვიდრე მოსალოდნელი იყო. აღტაცება იმდენად ძლიერი იყო, რომ ორ ადგილას ბრბომ გაარღვია მხედართ რაზმი, რათა უფრო კარგად დაენახა მეფე. სასახლის წინ გაჩერებულმა საზოგადოებამ იმათ უღიდებულესობის დაბრუნების შემდეგ ისეთი მანიფესტაცია მოახდინა, რომ მეფე და დედოფალი ავიანზე გამაოვიდნენ, სადაც აღტაცებით ულოცავდა ხალხი.

* *

საერთო განათლების მინისტრის ციკლოგრაფი სამოსწავლო ოლქის მზრუნველთა მიმართ.

„პრაქტიკ. ვესტაკ“-ში დაბეჭდილია:

ახალი სამოსწავლო წლის დაწყების გამო, მაქვს პატივი ვაუწყო თქვენს აღმატებულებას ქვემოთ მოხსენებული განკარგულება. გთხოვთ, მოწყალეო ხელმოწიფვე, აცნობოთ იგი თქვენდამი რწმუნებულ მაღალ და საშუალო სასწავლებელთა უფროსებს.

1. გაუქმებულ უნდა იქმნას ამიერიდან საშუალო სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებულთა ის საიდუმლო დახასიათებანი, რომელიც უნივერსიტეტის რექტორებსა და სხვა უმაღლეს სასწავლებლების დირექტორებს ეგზავნებოდათ. საშუალო სასწავლებელში იმ კურს დამთავრებული, რომელიც მოისურვებენ საერო განათლების სამინისტროს უმაღლეს სასწავლებელში შესვლას, ამიერიდან უნდა მიეცეთ ამონაწერი ყოფა-ქცევის ჟურნალიდან; ამასთან ამოწერილ უნდა იქმნას სამის უკანასკნელის წლის დახასიათებანი. უმაღლეს სასწავლებელში შემოსულმა ეს ამონაწერი ყოფა-ქცევის ჟურნალიდან სხვა საბუთის ქაღალდებთან ერთად უნდა გაგზავნოს უმაღლეს სასწავლებელში. წელს ასეთი ამონაწერი, რადგანაც დავაიანებულია, შეიძლება გაეგზავნოს პირდაპირ მაღალ სასწავლებლის მთავრობას. ამა თუ იმ სასწავლებლის მთავრობამ დიდი მნიშვნელობა არ უნდა მისცეს ამონაწერში აღნიშნულ საბუთებს, თუ ამ საბუთებს შედეგათ არ მოჰყოლია მოსწავლის ყოფა-ქცევის დაკლება; მხედველობაში უნდა მიიღოს საბუთები ორ შემთხვევაში: როდესაც გამოსარკვევია, ვაკანსიის სიმცირის დროს ვის მიენიჭოს უპირატესობა და როდესაც სასჯელი უნდა მიესაჯოს უკვე მიღებულ სტუდენტს ჩადენილ საქციელისა გამო. მიღების დროს ახლად შემსვლელს უნდა ეუწყოს ყოველივე ეს.

2. სასტუდენტო ვაკანსიების შეცვლის დროს, თუ სხვა პირობანი თანასწორია, უპირატესობა უნდა მიეცეს სწავლა-დამთავრებულთ იმ გიმნაზიებსა და რეალურ სასწავლებლებში, რომელთა მოსწავლეებიც სტუდენტობის დროს, შედარებით ნაკლებნი იყვნენ არეულობებში მონაწილეობის მიმღებთა შორის.

3. რადგან შენობის სიგიწროვე ხელს უშლის, ამიტომ რამდენიც დაწესებული მისაღები ადგილია უმაღლეს სასწავლებლებში, მომავალ აკადემიურ წელსაც იმდენივე დარჩება. მიუხედავად ამისა, ამ სასწავლებლების მთავრობას ნება ეძლევა, განსაკუთრებით საჭიროების დროს, ზედმეტი მიიღოს პირველ კურსზე ყოველ ასს კაცზე კიდევ ათი კაცი.

4. რადგან წელს განსაკუთრებით პირობებში იქნება წმ. ვლადიმერის უნივერსიტეტში სტუდენტების მისაღები ეგზამენები, ამ უნივერსიტეტის რექტორს უფლება ეძლევა ყველა ფაკულტეტის პირველ კურსებზე ზედმეტი მიიღოს კიდევ ორას კაცამდე.

5. ქალთა უმაღლეს კურსებზე მოსკოვში ნება ეძლევათ მომავალ სამოსწავლო წელს სამასამდე მოსწავლე ქალი იყოს.

6. ებრაელ მოსწავლეთა მიღების შესახებ მომავალ სამოსწავლო წელს ვარშავისა და ნოვოროსიის უნივერსიტეტებისა და რიგის საპოლიტენიკო ინსტიტუტებისათვის აღდგენილ იქნება იმ პროცენტების რიცხვი, რომელიც, დამცირებული იყო 1901 წლის განკარგულებით.

7. ებრაელ მოსწავლეთა რიცხვის პროცენტები ყველა უმაღლეს სასწავლებელში უნდა იანგაროონ ახლად მისაღებ სტუდენტების რიცხვთან შედარებით და არა ცალკე ფაკულტეტებისა და განყოფილების სტუდენტთა რიცხვის შედარებით.

8. გიმნაზიის კურს-დამთავრებულნი წელსაც მიიღებიან იმ უნივერსიტეტში, რომელიც შეეფერებოდათ 1899 წ. 5 ივლისის ცირკულიარში (№ 15773) მოყვანილ შენიშვნებს. მაგრამ თუ კურს-დამთავრებულმა 10 ავგისტომდე არ წარუდგინა რექტორს თხოვნა, ის ჰკარავს უპირატესობას, რომელიც მას მიანიჭებული აქვს სხვა ოლქის გიმნაზიელებთან შედარებით. ათ ავგისტოს შემდეგ დარჩენილ ვაკანსიებზე და აგრეთვე კომპლექტს გარდა (ამ ცირკ. მე-2 პუნქტი) ადგილებზე უნდა მიღებულ იქმან ყველა მთხოვნელნი, იმის მიუხედავად, თუ რომელ ოლქში დამთავრა სწავლა. ეს წესი არ ენება ვარშავის უნივერსიტეტს; სადაც სტუდენტების მიღება წინანდელ წესებით მოხდება. კიევის წმ. ვლადიმერის უნივერსიტეტის 1-ლ კურსზე წელს მხოლოდ კიევის სამოსწავლო ოლქის გიმნაზიელებს მიიღებენ. ამიტომ კავკასიის სამოს-

წავლო ოლქის გიმნაზიელებს წელს შეუძლიანთ შევიდნენ მხოლოდ ოდესის, ხარკოვისა და ყაზანის უნივერსიტეტებში.

9. ხელმოკრედ მიღება უმაღლეს სასწავლებელში იმ სტუდენტებისა, რომელნიც გამოირიცხულ იქნენ უწყსოებაში მონაწილეობის მიღებისათვის და რომელთათვის გამოირიცხვის ვადა არ აღუნიშნავთ, შეიძლება მხოლოდ 1903—4 წლის განმავლობაში, ისიც სამოსწავლო ოლქის მზრუნველის თანხმობით. ამგვარმა სტუდენტებმა ხელმოკრედ მიღების შესახებ თხოვნები უნდა წარადგინოს 1903 წლის ზაფხულში.

10. ხოლო ვინც ვადის განსაზღვრით იყო გამოირიცხული, ის უკანვე იქნება მიღებული უმაღლეს სასწავლებელში ვადის დასრულების შემდეგ, ოუ კი წარმოადგენს კარგის ყოფა-ქცევის მოწმობას.

11. ვინც გამოირიცხულია ერთ უმაღლეს სასწავლებლიდან, მაგრამ აღკრძალული არა აქვს მეორე სასწავლებელში შევიდეს, მისი მიღება შეიძლება მხოლოდ 1903—4 სამოსწავლო წელს.

12. ვინც კაცვის უნივერსიტეტიდან იქნა გამოირიცხული 1902 წ. 12 იანვარს განცხადების 1-ლ პუნქტის თანახმად, მას შეუძლია, თუ მოისურვებს, სწავლას შეუდგეს 1903 წლის იანვრიდან, მხოლოდ იმ პირობით, რომ შემოდგომის სემესტრი ჩათვლილი ჰქონდეს. ამათ თხოვნები უნდა შემოიტანონ არა უგვიანეს 1902 წლის 1-ლ სექტემბრისა. ამავე უფლებით შეუძლიანთ ისარგებლონ კიევის უნივერსიტეტის იმ სტუდენტებმა, რომელთაც მესამე სემესტრი ჩაეთვალა და რომელნიც დატოვებულ იქნენ მე II კურსზე, თანახმად შემოსენებულის განცხადების 1-ლის პუნქტისა.

13. რასაც სამოსწავლო ოლქის მზრუნველები დაადგნენ მე-10, მე-11 და მე-12 მუხლებში აღნიშნულ საგნების გამო, ის საბოლოოდ დამტკიცებულიად ითვლება.

ყველა ამას საჭიროდ მიმჩნია დავუმატო შემდეგ: 1991 წლის 22 დეკემბრის დროებითი წესები საესებით არ იყვნენ სისრულეში მოყვანილინი, ხოლო ამ წესებმა მინც გააუქმეს წინანდელი წესები და ახლა არაინი იცის, სახელდობრ, რომელს წესლებით უნდა იხელმძღვანელონ ბევრ საეჭვო შემთხვევების დროს; ამიტომ მე ვთხოვ ზოგიერთ

მინისტრებს, რომელთაც უმაღლესის ნებართვით უფლება აქვთ საჭიროების მიხედვით შესცვალონ ხოლმე დამტკიცებული დროებითი წესები, ვანიხილონ ეს საქმე და აღნიშნონ ახალი დროებითი წესები, რომლებითაც უნდა იხელმძღვანელონ უნივერსიტეტებმა, საბოლოოდ განკარგულება ამის შესახებ გამოცხადდება ახლო მომავალში, რათა სა მოსწავლო წლის დასაწყისშივე დაურიგდეს სტუდენტებს ახლად შეცვლილი დაბეჭდილი წესები.

საერო განათ. მინისტრა გ. ზენგერა.

ს ტ ი ა ე მ დ ი ე ბ ი

ქუთაისის თავად-აზნაურთა შვალებსისათვის.

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა კრების მიერ არჩეულმა კომისიამ უკვე შეიმუშავა და დაბეჭდა წესები იმ სტიპენდიებისა, რომელსაც უნდა მოხმარდეს უმაღლესად ნაბოძები ფული. აი თვით წესები:

1) თავად-აზნაურთა სტიპენდიები არსდება საქართველოს რუსეთის იმპერატორთან შეერთების ასის წლის თავის აღსანიშნავად, თანახმად უმაღლესის რესკრიპტის მე-2 მუხლისა.

2) სტიპენდიები დაენიშნებათ ქუთაისის გუბერნიის შთამომავლობით თავად-აზნაურთა ორსავე სქესის შვილთ, რომელნიც სწავლობენ რუსეთის იმპერიის უმაღლეს ან საშუალო სასწავლებლებში.

3) სტიპენდიები დაენიშნებათ მხოლოდ ლარბ თავად-აზნაურთა შვილებს.

4) სულ 95 სტიპენდია იქნება, თითო სტიპენდია: უმაღლეს სასწავლებელში—360 მან., და 180 მან., საშუალოში—260 მან. 180 მან. და 120 მ. ყოველ წლიურად.

5) სტიპენდიების საზოგადო რიცხვიდან უმაღლეს სასწავლებელთათვის დანიშნულია 40; ამთგან პირველი ოცი სტიპენდია იქნება თითო 360 მანეთიანი, მეორე ოცი კი—180 მანეთიანი. აქედან ხუთი 360 მანეთიანი სტიპენდია მოსწავლე ქალებსათვისა დანიშნული, დანარჩენი კი ვაჟებისათვის. საშუალო სასწავლებელთათვის დანიშნულია სულ 55 სტიპენდია, რომელთაგან 10 იქნება 260 მანე-



თიანი, ვაჭებისათვის; ოცი — 180 მანეთიანი; აქედან 15 დანიშნულია ვაჭებისა, ხოლო 5 ქალებისათვის; დანარჩენი 25 სტიპენდია იქნება 120 მანეთიანი თითო, აქედან 15 დანიშნება ვაჭებს და 10 ქალებს.

6) ვისაც სტიპენდია დანიშნება, სარგებლობს იმით მთელი კურსის გათავებამდის.

7) სტიპენდიანტი, რომელიც ერთსა და იმავე კლასში მეორე წელში დარჩება, ანუ ერთსა და იმავე კურსზე დარჩება ერთხელ მთელის კურსის გათავებამდის, სტიპენდიას არა ჰკარგავს, მაგრამ, თუ ნაჩვენებ დროს განმავლობაში ორჯერ დარჩა, იმ შემთხვევაში სტიპენდია მხოლოდ მაშინ არ დაეკარგება, თუ რამ პატივსაღებ მიზეზი აღმოჩნდება, რომელიც უნდა დაამოწმოს სასწავლებლის სავედაგოგო რჩევამ.

8) ხსენებულ 20,000 მანეთი ყოველ წლიურად ეგზავნება ქუთაისის გუბერნიის დეპუტატთა საკრებულოს, რომელიც ინახავს ფულს ქუთაისის საგუბერნიო ხაზინაში.

9) სტიპენდიებისა და შემწეობის დანიშვნის შესახებ თხოვნები უნდა წარედგინოს ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს; თხოვნასთან ერთად უნდა წარდგინდეს იქმნას სასწავლებლის მთავრობის მოწმობა მოსწავლის სწავლისა და ყოფაქცევის შესახებ.

10) წინა მუხლში მოხსენებულ თხოვნებს განიხილავს თავად-აზნაურთა წინამძღოლებსა და დეპუტატთა კრებული, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებს ყოველის მაზრის წარმომადგენელი, თავად-აზნაურთა სამაზრო კრების მიერ სამის წლით არჩეული.

11) სტიპენდიების დანიშვნის დროს უმთავრესად მიღებულ იქნება მხედველობაში მთხოვნელის ქონებრივი და ოჯახობრივი მდგომარეობა. როდესაც მთხოვნელთა სხვა პირობანი ერთ-ნაირია, იმ შემთხვევაში უპირატესობა მიეცემა უფრო ღარიბთა და აბოლოთ.

12) სტიპენდიებს, როგორც უმაღლესს, ისე საშუალო საწავლებელში მოსწავლენი ყოველ-თვიურად მიიღებენ.

13) სტიპენდიის დანიშვნის შემდეგ დეპუტატთა კრებული განკარგულებებს ახდენს, რომ დანიშნული სტიპენდია ყოველ-წლიურად ეგზავნებოდეს ამა თუ იმ სასწავლებლის მთავრობას, რომელიც გადასცემს დანიშნულებისამებრ.

14) თუ აღნიშნულ ფულიდან დარჩა რამე, მოხმარდება ქუთაისის გუბერნიის შთამამელოებით თავად აზნაურთა შვილების აღზრდას სხვა-და-სხვა სასწავლებელში.

15) თავად-აზნაურთა საზოგადო კრება ირჩევს სამის წლის ვადით საგანგებო სარევიზიო კომისიას სამის კაცისაგან. ამ კომისიამ უნდა შეამოწმოს ხარჯის სისწორე და თავად-აზნაურთა საზოგადო კრებას წარედგინოს ანგარიში, როგორც ანგარიში, ისე იმათი სია, რომელნიც სტიპენდიას მიიღებენ, დაიბეჭდება გაზეთს „ნახანაშ“-ში და ერთ-ერთს ქართულს გაზეთში.

ამ წესდებებს ხელს აწერენ: კომისიის თავმჯდომარე ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის მოადგილე თავადი ნიკარაძე, სენაკის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავადი მხეიძე, კ. რ. გოცირიძე, ს. ბ. დოლობერიძე, თავ. კ. ბ. ლორთქიფანიძე, ლ. თ. ლაღუა, თავ. ჯ. თ. დადემკელიანი, ი. პ. ჯაიანი და თავ. პ. გ. წულუკიძე.

ახალი ამბები და შენიშვნები.

* * * „სმოლენსკის ვესტიე“-ში ვკითხულობთ: „22 ივლისს ის სტუდენტები, რომელნიც ამ საპრობილემში იყვნენ დაპატიმრებულნი მოსკოვში მომხდარ (თებერვალს) არეულობათა გამო, უმაღლესის ბრძანებით განთავისუფლებულ იქმნენ. დილის 10 საათზე საპრობილემში მოვიდა გუბერნატორი და გამოუცხადა სტუდენტებს უმაღლესი ბრძანება. ამის შემდეგ სტუდენტები განთავისუფლდნენ.“

* * * ამიერ კავკასიის ტყინის გზის საღურ რიონზე 30 ივლისს, დილის 4 საათზე, სახალხო მატარებელი № 35, რომელიც ქუთაისიდან მოდიოდა, დაეტაკა ლიანდაგზე მდგომს თავად გიორგი ერისთავს და ქვეშ მოიყოლა. თ. ერისთავს მატარებელმა ორივე ფეხი მოსწყვიტა მუხლებზე ვეით. დაშავებული უკვე გარდაიცვალა.

* * * როგორც გადმოგვცეს, ფბალისში, პოლიციის მე-9 ნაწილში ერთი მეტად უცნაური საქმე მოხდა. ორ ვილაკ კაცს საღლატ მაწაწალო ძაღლი



ლაუქერიათ, დაუკლავთ და გაუტყავებიათ კიდევ. როგორც ამბობენ, ამ ვაჟებატონებს ძაღლის ხორცი უნდოდათ თურმე ცხვირის ხორცად გავსადებინათ; მაგრამ პოლიციელებს დაუპატიმრებიათ. „ყსავენს“ ძაღლი წაუტყენიათ არსენალის გორაზე და ერთს მოფარებულ ადგილას შესდგომიან ყელის გამოჭრას. როდესაც მათ ღუქნიდან რამდენიმე ვირვანქა ხორცი გაუსადებიათ—მეუტყვიათ ეს. საქმის ვითარების გამოსაჩვენებლად გამოიხეზა დანაშნული. (ი. ფ. 2)

* * * ფინანსთა მინისტრის განკარგულებით „პრაივტ. ვესტნიკ“-ში სამრეწველო განყოფილება აცხადებს, რომ ამ წლის 15 ოქტომბერს ათინაში გამართება სახალხთაშორის გამოფენა მრეწველობისა, ვაჭრობისა, ხელოვნებათა და ჰიგიენისა.

* * * 10 აგვისტოს შედის ძალაში შემდეგი სავალდებულო დადგენილება ქალაქ ტფილისისათვის: მუხლი 1-ლი. გუბერნატორის ნება-დაურთველად (წერილობით) არავის უფლება არა აქვს ივაჭროს თოფებითა, დამბაზებითა, რევოლვერებითა და ტყვია-წამლით.

მუხლი მე-2. ისინი, ვინც ამ იარაღითა და ტყვია-წამლით ივაჭრებენ, ვალდებული არიან იქონიონ დაწესებულ ფორმის განსაკუთრებული წიგნები, სადაც უნდა აღნიშნონ, რაც იარაღი და ტყვია-წამალი აქვთ, აღნიშნოს აგრეთვე, როდის ვის რა მიჰყავდა; ხოლო ამ დადგენილების მე-3 მუხლში დასახელებულ იარაღის შესახებ უნდა აღნიშნოს აგრეთვე, რა მოწოდების ძალით ვაჭყიდა იარაღი, ან ტყვია-წამალი. წიგნები პირველ მოთხოვნილებითაანავე უნდა წარედგინოს პოლიციას.

მუხლი მე-3. ვერცდ წოდებულ „ნარეზნი“ თოფები და რევოლვერები და აგრეთვე იმათთვის საჭირო ტყვია-წამალი შეიძლება მიეყიდოს იმათ, ვინც გუბერნატორისაგან ნებართვის წარადგენს, ამასთან იმდენი, რამდენიც ნებართვის მოწოდებაშია აღნიშნული. ეს მოწოდებები, როგორც ვასამართლებელი საბუთები, ვაჭრებმა უნდა შეინახონ.

მუხლი მე-4. ეს სავალდებულო დადგენილება ხმალ-ხანჯლის ვაჭრობას არ შეეხება.

მუხლი მე-5. აღკრძალულია ქალაქში იარაღის ტარება: თოვისა, რევოლვერისა, დამბაზისა, ხმლისა, ხანჯლისა, ფინურ დანისა, კასტეტისა, ბებუთისა და ისეთის ჯოხისა, რომელშიაც დანაა. პატივ-სადამ მისუხისა გამო შეიძლება იარაღის ტარება, მაგრამ

უმკველად გუბერნატორისაგან წერილობითი ნება-რთვა უნდა იქმნას აღებული. შუამდგომლობა ამ ებართვის შესახებ პოლიციმესტრის საშუალებით-წარედგინება ტფილისის გუბერნატორს. ეს მოწოდებანი პირველ მოთხოვნილებისათანავე უნდა წარედგინოს ხოლმე პოლიციას.

მუხლი მე-6. ამ წესებს არ ემორჩილებიან სამხედრო კაცნი და სამოქალაქო წოდების მოხელენი, რომელთაც იარაღის ტარების ნება აქვთ.

მუხლი მე-7. თუ ისინი, ვისაც ეს სავალდებულო დადგენილებანი შეეხება, დაარღვევენ წესებს, პასუხის გებაში იქმნებიან მიცემულნი იმ სასჯელთა მე-29, 117, და 118 მუხლების ძალით, რომელსაც მოპირგებელი მოსამართლე ადებს.

* * * ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგ. სკოლები უწმ. სინოდის განკარგულებით საქართველოს საეპარქიო საბჭოს დაექვემდებარა.

* * * ტფილისში ჩამოვიდა უწმ. სინოდის სამეურნეო განყოფილების დირექტორი, ტაინი სოც. პ. ი. ოსტროუმოვი.

* * * სენატმა ვანმარტა, რომ ქალაქის ხმოსანთა არჩევანების დროს ერთხელ ვამავებულს არ შეუძლიან ყუთი დაიდგას ამავე საარჩევანო კრების შემდეგ სესსიაში.

* * * გრაფდანი“-ი საყურადღებო ამბავს გადმოგვცემს: მალე შეუდგება მუშაობას განსაკუთრებული კომისია, რომელსაც საუნივერსიტეტო საქმის განხილვა აქვს მინდობილი.

* * * სამკურნალო დეპარტამენტმა კარგა ხანია გადასწყვიტა, დააარსოს რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილას დამალი სამკურნალო სასწავლებლები: საფერ-შოო, საბებია და საბეთალო სკოლები. ამ სკოლაში შესვლის ნება ექმნებათ ორ-კლასიან და სამრეწველო სასწავლებლებში სწავლა-დამთავრებულთ, ვინც მოწოდებას მიიღებს, იმას ნება ექმნება სოფლებში მკურნალობისა.

ამის შემდეგ, რასაკვირველია, სოფლებში ექიმების მდგომარეობა უფრო შეუძლებელი შეიქნება, თუ ამისთანა ფერ-შოებსაც ნება მიეცათ ექიმობისა.

* * * უწმ. სინოდის სამეურნეო განყოფილების დირექტორმა ბ-ნმა ოსტროუმოვმა დათავალიერა ვერაზედ სასულიერო სემინარიის შენობისათვის შექმნილი ადგილი, გვემა შენობისა და დამზადებული მასალა. ოსტროუმოვმა მოიწონა სემინარიის საბჭოს



ის გარდაწყვეტილებით, რომ შენობის აგება მიენდოს კომისიას ნაფიჯ ევეილის ფრენკლის თავმჯდომარეობით და არა მოიჯარადრეს გარდაეცეს. ოსტრო-უმოვი ამ დღეებში აპირებს ტფილისიდან პეტერ-ბურგში დაბრუნებას. („ცნ. ფურც.“)

* * * ლაშქრის (იმერეთი) იწერებიან, რომ 10 აგვისტოს ბორჯღა-გაზარხველი თავს დაესხნენ მღ. ვ. გორგაძეს. თავს დამსხმელთაგანი ორი — აბაშიძე და მიქელაძე უკვე შეიპარეს. გამოძიება სწარმოებს.

* * * ტფილისის სასულიერო სემინარიაში მისა-ლები ეგზამენები დასრულდა 26 აგვისტოს. ეგზამენ-ლის დატერის ნება მისცეს მხოლოდ ოთხს კაცს, აქედან მიღებულ იქნა მხოლოდ ერთი. ამ რიგად სემინარიის პირველ კლასში წელს მიღებულ იქნა მხოლოდ 34 კაცი მაშინ, როდესაც ვაკანსია 55-ია. („ცნ. ფურც.“)

* * * ამას წინადა ახალციხეში გარდაიცვალა იქა-ური მცხოვრები ვინმე მატარაჯევი: ადმინისტრაციას გამოუკვლივია, რომ მიცვალებულს აზოტის სიძეავე დაუღვია და თავი მოუწამლავს. ეს სიძეავე ადგი-ლობრივ აფთიაქიდან შეუძენია მატარაჯევს, მაგრამ ექიმის ნება-დაურთველად. საგუბერნო საექიმო საბჭოს დაუდგენია აფთიაქის პატრონი ბ-ნი მაისუ-რადე პასუხის გებაში მისცეს ამ საქმისათვის და ეს ამბავიც პროკურორისათვის უტანებებია.

* * * 24 აგვისტოს ქუთაისის სათავადა-ზნაურო ბანკში საჯარო ვაჭრობა იყო დანიშნული ბანკში დაგირავებულ მამულებისა. გასასყიდად სულ 47 მა-მული იყო დანიშნული. მყიდველი მხოლოდ ათ მამულზე გამოჩნდა; ამთგან ერთი ახალციხეშია, ერთი — ოზურგეთში, 3 ფოთში და 5 ქუთაისში. ეკუთვნის: 6 ქართველს, 2 რუსს, ერთი სომეხს და ერთიც ბერ-ძენს. მამულები გაიყიდა მცირე ფულის წამატებით: თითო-მამულზე 5—10 მან. უმატებდენ მყიდველები გარდა ერთისა, რომელიც 600 მანეთიღგან 1000-მანეთამდე ავიდა. მამულები შეიძინეს 7 ქართველმა, 1 ბერძენმა, 1 სომეხმა, და ერთიც რუსმა. დანარჩენ 37 მამულის განმეორებითი ვაჭრობა დანიშნულია 21 სექტემბერს. თუ ამ დღეს მყიდველი არავინ აღმოჩნდა, მამულები ბანკს დარჩება.

* * * ცნობის ფურცელში ეკითხულობთ რომ, ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის ინსპექტორი ბერ-მონაზონი მ. ვასილ არხანგელსკი სასულიერო სემინარიაში გადაიყვანეს სემინარიის ინსპექტორადო.


* * * ქუთაისის გიმნაზიას და რეალურ სასწავ-ლებელს წელს დიდ-ძალი ბავშვი მიაწყდა. ამ ორსავე სასწავლებლის დაბალ კლასებში თავისუფალი ადგი-ლი 50—60 თუ არის, მთხოვენელების რიცხვი კი სამას აღემატება.

* * * უმაღლესის ბრძანებით, უწმ. სინოდმა, როგორც „კავ.“ — „შია გამოცხადებული, შეიწყნარა საქართველოს ეგზარხოსის უმაღლდგომლობა იმის შე-სახებ, რომ ჟურნალს „Духов. Вѣст. Груз. Экзарха-та“-ს მოემატოს წლიური ფასი (5 მან. 4 ნაცვლად) და ამავე ჟურნალში აღარ იბეჭდებოდეს ოფიცია-ლურ ნაწილის ქართული თარგმანი. ფასის მომატება საქირად უცვნიდა ჟურნალის გასაუქმობესებლად და არგთვე იმიტომ რომ, ტფილისში სასტამბო საქმე ძვირადა ჯდებაო; ხოლო ქართულის თარგმანის ბეჭდვის გაუქმება იმას გამოუწვევია, რომ „საქმის წარმოება კავკასიაში და ამიერ-კავკასიის მთავრობის დაწესებულებაში სწარმოებს მხოლოდ რუსულს ენაზე“.

* * * ტფილისის სასულიერო სემინარის მთავრო-ბას გადაუწყვეტია შეუდგეს ამ დღეებში სემინარიის ახალ-შენობის აგებას ვერაზე. საძირკველის ჩაყრა დანიშნულია 1 სექტემბრისათვის. საძირკველის ჩაყ-რის დროს პარაკლისზედ დასასწრებლად მიწვეულნი არიან საზოგადო და სახელმწიფო დაწესებულებათა წარმომადგენელნი, სასულიერო პარნი და სემინარი-ის აღმზრდელ-მასწავლებელნი.

* * * უმაღლესის ბრძანებით შეცვლილ იქნა სასულიერო სემინარიების წესდების მე-92 პარაგრა-ფი. ახალის პარაგრაფის ძალით, სემინარიის სახედა-გოგო საზოგადოების კრებებზე ესწრებიან: ინსპექ-ტორი, მასწავლებელნი და ორი წევრი საეპარქიო სამღვდლოებისა. წევრები სამღვდლოებამ უნდა არჩიოს და ეპისკოპოსმა დაამტკიცოს.

* * * საერო განათლების სამინისტრომ, უწმიდ. სინოდის ობერ-პროკურორთან შეთანხმების შემდეგ, ნება დართო, სასულიერო სემინარიებში სწავლა-დამთავრებულნი ამიერიდან მიღებულ იქნან ხოლომე პეტერბურგის სატყვეო ინსტიტუტში. რადგანაც წელს გვიან არის, სემინარიელების მიღებას გაზაფ-ხულიდან დაიწყებენ.



სახელმძღვანელო, საყურადღებო, საჭირო და სასარგებლო ცნობათა განყოფილება.

საეჭვო კითხვების განმარტება.

კით. ქალი და კაცი სცხოვრობდნენ დაუქორწინებლად და დაებადათ შვილი. შემდეგ ბავშვის დაბადებისა დაიწერეს ჯვარი კანონიერი ქორწინებით—ბავშვი მოუხათლაგია. შეიძლება თუ არა ქორწინებამდის დაბადებული ბავშვი დაიწეროს მონათვლის დროს მათ კანონიერ შვილად?

მიგ. არ შეიძლება ქორწინებამდის დაბადებული შვილი, ქორწინების შემდეგ დაიწეროს მათ კანონიერ შვილად. მონათლული ბავშვი უნდა დაიწეროს დედის სახელზე და როცა ახლად მომქმედ კანონთამებრ კანონიერ შვილად დამტკიცდება მონათლული დაგვირგვინებულებთან, მაშინ შეიძლება მიწერა, რომ კანონიერ შვილად არის ცნობილი, მაგრამ ეს შეიძლება მხოლოდ კონსისტორიისა და კანტარის განკარგულებისამებრ. ქორწინების გარეშე დაბადებულთა კანონიერ შვილებად შერიცხვა შეიძლება თანახმად უმაღლესად დამტკიცებული წესებისა 3 ივნისიდან 1902 წლისა ამ სახით: მშობლებმა, რომელთაც სურთ კანონიერად შერიცხონ ქორწინების გარეშე დაბადებულნი, უნდა შეიტანონ თხოვნა (ვექილების საშუალებით თხოვნები არ მიიღებიან) ოლქის სასამართლოში, სადაც ცხოვრებენ მშობლები და კანონიერად შესარიცხავი. თხოვნასთან წერილობით განცხადება უნდა წარადგინონ დედ-მამამ, რომ კანონიერად საცნობი დაებადა მათ და მასთან მეტრიკული გამოწერილობაც, როგორც ბავშვის დაბადებაზე, ისე მთხოვნელების ქორწინებაზე. ამასთანავე თხოვნაში, რომელიც ერთი წლის გასვლის შემდეგ ქორწინებისა უნდა იყოს განცხადებული მიზეზები,

რომელნიც უნდა ამართლებდნენ ასეთ დაყოვნებას (ტ. VI წ. I, წესდ. სამოქ. სამსჯ. გამ. 1892 წ. მუხ. 1460, 1—3).

კით. მღვდლები და მათი ქვერივები, რომელნიც იენისის თევზდის 1902 წლისა იღებდნენ პენსიას მიიღებენ თუ არა ახალი კანონმდებლობის დაწესებულ პენსიას?

მიგ. მღვდლები და მათი მქვერივები, რომელნიც იენისის თევზდის იღებდნენ პენსიას ას ოცდაათ მანეთს და 6 წ მანეთს მათი მქვერივები, მათ არ მიეცემა გადიდებული პენსია, რადგან იენისის თევზი გამოცემული კანონი არ გავრცელდება მათზე.

კით. მმართველობას ჩვენთვის (სასულიერო წოდების პირთ) მღვდელთათვის მიუკითხეთ შეღავათი (льгота) რკინის გზაზე მიმოსვლის დროს ისეთი, როგორიც აქვთ სამხედრო უფროსებს (офицера) ე. ი. ყიდულობენ III კლ. ბილეთს და მგზავრობენ მეორე კლასით. ჩვენ გვსურს შევიტყუთ: ოჯახიც სარგებლობს ამით, თუ მარტოდ პირადად მღვდელი?

მიგ. ჯერეთ არც მღვდელი სარგებლობს, თორემ ოჯახზე ვინ რას იტყვის. რასაც სწვრენ ვაწუთებში ყველა მართალინო კი გგონიათ... შეიძლება ეს ხმები განმართლდეს, მაგრამ ჯერეთ კიდევ დრო გაივლის.

კით. მკვდარი დაბადებული შეიძლება დაიმარხოს სასაფლაოზე?

მიგ. შეიძლება სასაფლაოზედაც და სხვაგანაც.

კით. კანონია, რომ ყოველი ქრისტიანი ეზიაროს. სამი წელი შესრულდა არ ზიარებულა მსაჯული, მოქალაქე და ამისთანა სამსახურის პირანი—მეუბნებიან ქალაქში ვეზიარეთო—მატყუილებენ, ვინაიდან არ წარმომიდგინეს მოწმობა—სიტყვა არ სჭრის, ან როგორ გასჭრის დღევანდელ ინტელიგენტზე? როგორ მოვიქცეთ ამ შემთხვევაში?

მიგ. ისე უნდა მოიქცეს მღვდელი, როგორც კანონი სწვრია. ამისთანა დაუდევნელ პირებზე უნდა მოახსენოს მღვდელ-მთავარს და ის მოახდენს ჯეროვან განკარგულებას...

კით. პრიფენდის ხარისხზე ჩამოყვანილ მღვდელს მიეცემა თუ არა პენსია, თუ მას ხელ-ახლა მისცეს მრევლი?



მიგ. კანონებში არ არის ცხადად განმარტებული, თუ ამის შემდეგ არა გამოცხადდა რა. ჯერ-ჯერობით კი საეჭვოდ არ მიგვაჩნია, რომ მიიღებენ.

კით. დაბალ მოხელეს ნამდვილი სამსახურის ვადის გათავების შემდეგ შესრულს მაგალითად დარა-ჯათ (სტრაფიკი), ვინ უნდა მისცეს საგვირგინო მოწმობა—დედ-მამის მრევლის მღვდელ-მა, თუ მათის უფროსმა?

მიგ. ახირებული კითხვა არის. რასაკვირველია, მრევლის მღვდელმა უნდა მისცეს ნება-რთვა. ეგებ სტრაფიკი არხანგლის გუბერნიიდან არის, მაშინ სხვა საბუთები უნდა მოითხოვოს მისი უფროსისაგან.

კით. დედასთან მოყოლილ შვილს, ვაზრდილს ჩემს სამრევლოში და აქავე ნაზიარებს, აღსარების მთქმელთა სიაში ჩაწერილს, ვინ უნდა მისცეს საგვირგინო მოწმობა?

მიგ. იმ მღვდელმა, ვის საბუთებშიაც სწვრია და რომელი მღვდლის მრევლშიაც ირიცხება.

კით. მღვდელმა არ ისაქიროცა სასძლოს მოწმობა, გარეშე საფუძვლისა სხვა-და-სხვა სამრევლოს სასიძოსა და სასძლოს ჯვარი დასწერა. ეგრეცა თუ არა დაჩაგრულს კრებულს მოწმობისათვის საჩუქარი და ვისგან?

მიგ. თუ გვირგვინი უკუთხვს რაღა საქიროა მოწმობა? გვირგვინის საკურთხი შეუძლია მოითხოვოს სასძლოს მრევლის მღვდელმა და გვირგვინის მაკურთხეველს უთუოდ გარდახდება და პასუხსაც ავებს...

კით. 17 წლის ნამსახურის მღვდლის ქვრავს მიეცემა რამდენიმე მაინც პენსია თუ არა?

მიგ. პენსიის მიღების წესდებაში კარგად არის ეს კითხვა განმარტებული, წაიკითხეთ.

კით. იმქონების თქვენს რედაქციაში წესდება (УПАВНО) საეკლესიო სამზრუნველოსა (ბროშიურად) წიგნაკად და თუ არის—რა ღირს თითო ცალი და თუ არა სად შეიძლება იმისი შექმნა?

მიგ. ნუ თუ ერთხელ მაინც არ წაგიკითხავს ჩვენი გამოცემათა განცხადება. ეხლა მაინც წაიკითხეთ.

რამდენიმე სკანონი.

მდ. შ. გა—გს. მიკვირს, რომ თავი შეგიწულებია იმის დასამტკიცებლად, რომ სახარება ყოაჩნე უმჯობესია. ვის ეჭირება ეს და ვინ არის ჩვენში ისეთი, რომ ეჭვი ჰქონდეს ამაში? არ დაიბეჭდება.

რამდენიმეს. ივლისის და აგვისტოს თვეების ჟურნალის გვიან გამოსვლას მიზეზი ჰქონდა, რომელიც რედაქციაზე არ არის დამოკიდებული.

მდ. შ. ბარ—გს. სამი სტატია იყო თქვენგან გამოგზავნილი და უკან იგზავნება. არ დაიბეჭდენ იმიტომ, რომ ლიტურჯის განმარტება უკვე იბეჭდებოდა ბ-ნი კაჭხიძისა.

მდ. ა. ფ—გს. დღეს ცენზორად სხვა არის. დაიბრუნეთ ხელნაწერი და წარუდგინეთ მას.

რამდენიმეს. გაზეთები და სხვა, რაც გნებავთ „მწყემსის“ რედაქციის გამოცემა, მოიკითხეთ ქუთაისში ბ. გალუსტოვის წიგნის მაღაზიაში, კლასიკური გიმნაზიის პირდაპირ.

მდ. კ. და—ის. მიიქცეით წერა-კითხვის საზოგადოების წიგნთ-საცავში და იქედან მიიღებთ. დავითნი არ იმეკნება და როდის დაიბეჭდება არავინ იცის. სხვა წიგნების ფასი ბევრჯერ არის გამოცხადებული.

რამდენიმეს. საღმრთო სჯულის სახელმძღვანელო ისყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნთ-საცავში. თვით ჩვენს რედაქციაში და ქუთაისში გალუსტოვის წიგნის მაღაზიაში. ფასი ყდით ათი შაური. ვინც ჩვენგან დაიბარებს თითო ცალზე 5 კ. დაეთობა და ჩვენი ფასით გავგზავნება, სადაც კირინის გზა გადის და ფოსტა არის. წიგნი შედგენილია თანახმად უწყმიდესი სინოდის განჩინებისა. დაბეჭდილია ხმის ასამაღლებელი ნიშნებით.

მიიღება ხელის-მოწერა 1902 წლისათვის ოქტ-
ბრიანამდე გამოსცემათა მართულს

მ ა ლ ე ზ ი ს
პ რ ო ზ ი მ ნ ა ზ ი ა
ელენე ბასტაძისა

„მწუქემს“ - ზე

დ

რუსულ «П А С Т Ы Р Ь»-ზე

ქუ რ ნ ა ლ ი ს ფ ა ს ი :

12 თვით «მწუქემსი» 3 მ. 6 თვით «მწუქემსი» 2 მ.
— „რუსული“ 3 მ. — „რუსული“ 2 მ.
— „ორივე გამოცემა“ 3 მ. — „ორივე გამოცემა“ 2 მ.

ბაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბა
ვერიანში რედაქციაში, ქუთაისში ბნ ესტატე
ლაშაშიძესთან, თბილისში წერა-კითხვის გამავრცე-
ლებელ საზოგადოების წიგნის მ-ლახაში, ბ. შიო
ქურუაშვილთან. ფოთში — დეკანოზ მ. გრიგოლ
მაჭაროეთან; ხაზასხანაში — ბლალაჩინ მამა არისტარქ
კალანდარიშვილთან.

საფლის მასწავლებელი და ღარიბთ გახვითები დაეთმო-
ბათ მთელის წლით ორივე გამოცემა სამ მ ა ს ე თ ა დ.

რედაქცია იმყოფება დ. ვერიანში რედაქ-
ტორის საკუთარ სახლებში.

ბარემ მკვახრებთ ქურნალის დაბარება შეეძლიათ
ამ ადრესით: Вь Квирилы, вь редакцію газеты и
журнала „МЦЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

რედაქციაში მოიპოვება წარსული წლების რამ-
დენიმე სრული გამოცემანი „მწუქემსი“-სა, რომელ-
ნიც ნახევარ ფასად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოვება აგრეთვე სხვა-და-სხვა
სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კა-
თალოგი დრო-გამოშვებით ქურნალშიდაც იბეჭდება
და მსურველთაც შეიძლება დაიბარონ რედაქციიდან.

ამითაც ხდება, რომ მოსწავლეთა მიღება
უძცროს და უფროს მოსამზადებელ, ზირვე-
ლი, მეორე, მესამე და აგრეთვე წელს გას-
სნილ გეოტხე ზროკიმნაზიულ კლასებში
დაიწეება 20 აგვისტოდად და გაგრძელებათ
მთელი წლის განმავლობაში. თხოვნები უნდა
გამოგზავნონ ზროკიმნაზიის უფროსის—
ელენე ბასტაძის სახელობაზე. სწავლის
საფასური როგორც მოსამზადებელ, ისე ზრო-
კიმნაზიულ კლასებში 30 მან. წელიწადში.

შ ი ნ ა ა რ ს ი :

სალიბარატორო განყოფილება: შემდარი აზრია
და მსჯელობა. დეკ. დ. ლამაშიძე. — პირველი დათვლიერება
და რევიზია იმერეთის ეპარქიის ეკლესიებისა ყოვლად სამ-
ღვდლო ლეონიდის მიერ. დეკ. დ. ლამ-ძე. — მენისაგან
მომხდარი უბედურება (ზემო იმერეთში). მღ. ს. კალანდაძე.
— ყველაზე უძველესი წიგნთ-საცავი. — ბოდიში მკითხველს
(ლექსი). რ. ს. — ლი. — ყოვლად სამღვდლო იმერეთის ეპიკო-
პოსის ლეონიდისაგან დღესასწაულობითი წირვა შიო-მეფის
მონასტერში 21 წარსულ თებერვალს, ყველიერის ხუთშაბათს.
დეკ. დ. ლამაშიძე. — მიტროპოლიტი იონიკე და სემინარიე-
ლები. — მეგობრული რჩევა ჩვენს ყმაწვილებს. ვ. მალაქიაშვილი.
— ქურნალ-გახვითებიდან. — საერო განათლების მინისტრის
კირკულიარი სამოსწავლო ოლქის მზრუნველთა მიმართ. —
სტაჟენდიები ქუთ. თავდაზნ. შვილებისათვის. — ახალი ამბები
და შენიშვნები.
საპირღ და სახარებალო ცნობათა განყოფი-
ლება: საეკო კითხვების განმარტება. — რედაქციის პასუხი
— განცხდება.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ლამაშიძე. Редакторь-Издатель П. Д. Гамбашидзе.
Дозволено цензурою 4 сентября 1902 г.
Тяног. редакції журн. „Пастырь“ (П. Д. Гамбашидзе) вь Квирилахъ вь собет. домѣ.